28/05/2024

პროფესორ-მასწავლებელთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია

სამი დღის განმავლობაში, 15, 16 და 20 მაისს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში მიმდინარეობდა პროფესორ-მასწავლებელთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია.
კონფერენცია წარმომადგენლობითი ხასიათისა იყო, მასში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ყველა კათედრის პროფესორ-მასწავლებლებმა.
20 მაისს, კონფერენციის ბოლო დღეს, გაიმართა სექციური მუშაობა საეკლესიო სამართლის, ქართული ენისა და ლიტერატურისა და ფილოსოფია-ფსიქოლოგიის მიმართულებით.
სექციების სამუშაო პროგრამა იხილეთ ქვემოთ:

საეკლესიო სამართალი

სხდომის თავმჯდომარე – დეკანოზი ლონგინოზ სუარიშვილი
1.ფილოსოფიის დოქტორი რუსუდან წიქვაძე – ქორწინებისა და ოჯახის საკითხები

იუდაიზმში
2.დეკანოზი ლონგინოზ სუარიშვილი – სეკულარიზმის იდეა და მისი თეოლოგიური კონტექსტი
3.ირაკლი გუნიავა – მონასტრის ქონებრივი უფლებები საქართველოში

ენა და ლიტერატურა

სხდომის თავმჯდომარე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მედეა (მარიამ) ღლონტი
1.ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მედეა (მარიამ) ღლონტი – ქართულ ანდაზაში უკუფენილად გაცხადებული ქრისტიანული სათქმელისათვის („კარგ მთქმელს კარგი გამგონეო“ — „სამართალმა პური ჭამა“, „რასაც დასთეს, იმას მოიმკიო“ — „სტუმარი ღვთისაა“...)
2.ფილოლოგიის დოქტორი ხათუნა კალანდარიშვილი – ადამიანის დანიშნულების ქრისტიანული კონცეფცია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში
3.ფილოლოგიის დოქტორი თამთა ფარულავა – ლიტერატურული დიალოგისათვის (XII და XX საუკუნეები)
4.ფილოლოგიის დოქტორი მარინე მამულაშვილი-ბოტკოველი – სახარების ქალთა სახეების ლიტერატურული ტრანსფორმაცია ჯიბრან ხალილ ჯიბრანის შემოქმედებაში („იესო, ძე კაცისა“, „წინასწარმეტყველი“)
5.ფილოლოგიის დოქტორი ხათუნა პატაშური – სახლისა და უსახლკარობის მოტივი მხატვრულ ლიტერატურაში.

ფილოსოფია და ფსიქოლოგია

სხდომის თავმჯდომარე – ფილოსოფიის დოქტორი ელენე შუბლაძე

1.ფილოლოგიის დოქტორი ჯულიეტა შოშიაშვილი – მოძრაობის კატეგორია დიონისე არეოპაგელის თხზულებებში
2.ფილოსოფიის დოქტორი ელენე შუბლაძე – კათარზისის გაგებისათვის ანტიკურ ფილოსოფიაში
3.ფსიქოლოგიის მაგისტრი გვანცა გუგეშაშვილი – ემოციების როლი ფსიქოსომატური დაავადებების განვითარებაში

tsas.ge